ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

6 (9993) • 11 Tebervali • 2013 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადება

პირველ რიგში მინდა უპირობოდ და ცალსახად დავგმო ძალადობის ის ფაქტები, რომლებსაც გუშინ ადგილი ჰქონდა საგარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამოქალაქო პროტესტის გამოხატვა, რაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, უნდა იყოს მხოლოდ არა ძალადობრივი და მხოლოდ კანონის ფარგლებში. შინაგან საქმეთა მინისტრი ჩემი დავალებით ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოძალადეთა და ძალადობის ინსპირატორთა გამოსავლენად და დასასჯელად. მიმდინარეობს პოლიციის მოქმედებების ანალიზიც, იმისათვის, რომ დაიხვეწოს მსგავს სიტუაციებში მისაღები ზომები.

უკეთესი იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტს გაეთვალისწინებინა უმრავლესობის წინადადება და ყოველწლიური მიმართვა გაეკეთებინა პარლამენტის შენობაში ორიოდე კვირის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის გამოსვლაში რამოდენიმე საყურადღებო მომენტი შევნიშნე. ეს განცხადებები ადრე რომ გაკეთებულიყო, ზოგ გართულებას თავიდან ავიცილებდით. კერძოდ, პრეზიდენტმა ქართველ ხალხს ბოდიში მოუხადა იმ შეცდომებისთვის, რაც წლების განმავლობაში დაუშვა მან და მისმა მთავრობამ. პრეზიდენტმა აღიარა ისიც, რომ გასულ საპარლამენტო არჩევნებში ხალხმა სამართლიანად ჩამოართვა მათ ძალაუფლება და ხალხის ნდობის დასაბრუნებლად, პირველ რიგში, საჭიროა წარსულის პრობლემების გაანალიზება და სწორი დასკვნების გაკეთება.

ახლა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რათა გაჩნდეს ნდობა მისი ამ და სხვა სიტყვებისადმიც. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი მზადაა, მზარი დაუჭიროს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც პარლამენტის მონაწილეობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, ველით ამ განცხადების დადასტურებას საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან, რის შემდეგაც პარლამენტი უმოკლეს ხანში კენჭს უყრიდა ამ კანონპროექტს.

პრეზიდენტმა ისაუბრა სხვა კონსტიტუციურ საკითხებზეც, რომლებიც განსახილველი კანონპროექტის საგანი არ არის და რომლებზეც მას ჩვენგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ჩვენ მზად ვართ ზემოთ ნახსენები კანონპროექტის მიღების შემდეგ, მისი მოსაზრებები ყურადღებით მოვისმინოთ და სათანადო კანონპროექტების განხილვის პროცესში საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით შევავჯეროთ პოზიციები.

საკონსტიტუციო დონეზე ყველა საკითხის გადაწყვეტამდე კარგი იქნება, თუ პარლამენტში მალე დასრულდება ინტერფრაქციული შეთანხმების გაფორმება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების თაობაზე. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებულ დოკუმენტზე ფართო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა ხელს შეუწყობდა მთავრობის მცდელობებს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარების, ოკუპირებული ტერიტორიების არ აღიარების პოლიტიკის შეუქცევადობისა და რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის აღდგენის დაწყების მიმართულებით.

მე კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ მზად ვარ პრეზიდენტთან და მის პოლიტიკურ გუნდთან ურთიერთობისთვის კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელი დაცვით. ძალადობრივი დანაშაულის პატიების უფლება ჩემთვის არავის მოუცია. ყველა სხვა საკითხზე მზად ვარ გონივრული კომპრომისებისთვის ჩვენი საერთო საშშობლოს საკეთილდღეოდ.

აშშ-ს ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადება პრეზიდენტის სასახლეში

"პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლაში ძალიან ბევრი პოზიტიური ელემენტი დავინახე. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის განცხადება, რომ მას სურს ეფექტური თანაარსებობა და მთავრობასთან ურთიერთობაში შემრიგებლური ტონის დამკვიდრება. ჩემი აზრით, დღევანდელმა ძალადობამ უნდა შეგვახსენოს, რატომაა მნიშვნელოვანი ორივე მხარისათვის, გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და გადადგას ნაბიჯი წინ, როგორც მოქმედებით, ისე სიტყვებით.

მივცეთ მთავრობასა და პრეზიდენტს მუშაობის საშუალება. არსებობს უფრო მეტი ძალადობის რისკი: არა მგონია, საქართველოში ვინმეს სურდეს ეს.

შევიტყვე, რომ როდესაც ერთი პარლამენტარი (პრეზიდენტის] სასახლიდან მიემგზავრებოდა, მას თავს დაესხნენ. ჩემი რჩევაა, რომ ყველა უნდა წავიდეს შინ, ხოლო პოლიტიკური პროცესი ხვალ დილიდანვე უნდა გაგრძელდეს მშვიდობიანად."

ხდება თუ არა პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან დათხოვნა და გამგებლის თვალით დანახული ბიუჯეტი – „ბიუჯეტი არ არის საქველმოქმედო, ან საპენსიო ფონდი“

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დისკუსია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე საკადრო ცვლილებების ირგვლივ გაიმართა.

რა ცვლილებები იგეგმება გამგეობაში, რა იგეგმება ა(ა)იპ-ებთან მიმართებაში, ხდება თუ არა ადამიანთა გათავისუფლება სამსახურებიდან პოლიტიკური მოტივით; რა დარღვევები ხდება და რას ითვალისწინებს კანონი ამ შემთხვევაში; დაინიშნებიან თუ არა სამსახურებში კადრები კონკურსის წესით? – გიორგი მახარაძის ამ კითხვებს უპასუხეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ***კოტე შარაშენიძემ,*** *საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე* ***პაატა მანკვალაძემ,*** *ექსპერტმა, იურისტმა* ***ირაკლი პაპავამ.***

– ყველა ინტერესით აკვირდება პროცესებს, არის საკითხები სწორად აღქმისთვის და არის საკითხები დეზინფორმაციისთვის, რომელიც მედიიდან, ან კულუარებიდან მოდის. ვხედავთ, რომ საზოგადოებამდე არასწორად მიდის ინფორმაცია. საჭიროა ცვლილებები და ეს არის ჩვეულებრივი პროცესი. პოლიტიკური მოტივით რომ გამეთავისუფლებინა ადამიანები, ყველას გავათავისუფლებდი. – თავისი პასუხები ამ გამოსვლით დაიწყო კოტე შარაშენიძემ. მისი თქმით, თავად

გვ-2

ბრიფინგი ნაციონალური მოძრაობის ოფისში

გაზეთი „ალიონი“

– უკანასკნელი დღეების განმავლობაში მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ხორციელდება როგორც საჯარო მოხელეების, ისე ხელშეკრულებით მიღებული პირების იძულება, დატოვონ დაკავებული თანამდებობები. მათ შორის როგორც სოფლის რწმუნებულების, ისე ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირებზე მათი ნების საწინააღმდეგოდ დათხოვნა. სისტემატურად ხდება ამ პირების ძალოვან სტრუქტურებში სხვადასხვა საფუძვლით დაბარება – აღნიშნა ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხეილ გოგოტიშვილმა 7 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე. მისივე თქმით, ქართული ოცნების ადგილობრივმა ლიდერმა შოთა გოგიბერიძემ გააჟღერა შეთანხმებული მოსაზრება ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი საჯარო მოხელეების 2 კვირის განმავლობაში სამსახურებიდან გათავისუფლების შესახებ, რომელთა ადგილზე უნდა დაინიშნონ ქართული ოცნების აქტივისტები.

გოგოტიშვილი ამ მოვლენებში ჩართულად ასახელებს გამგებელს, ბიძინა ივანიშვილის ოჯახს, მის მხარდამჭერებს და ოზურგეთის ორგანიზაციის სახელით მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს, რომ შეისწავლონ აღნიშნული ფაქტები და გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გოგოტიშვილმა არ გამორიცხა გავრცელებული ინფორმაცია მოადგილეების ლადო ქვილორიასა და ლაშა ღლონტის სამსახურიდან პირადი განცხადების დაწერის საფუძველზე გათავისუფლება.

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 თებერვალი ორშაბათი	12 თებერვალი სამშაბათი	13 თებერვალი ოთხშაბათი	14 თებერვალი ხუთშაბათი	15 თებერვალი პარასკევი	16 თებერვალი შაბათი	17 თებერვალი კვირა
მზე, ღრუბელი +11+18	ღრუბელი, წვიმა +9+19	ძლიერი წვიმა +6+11	მზე, ღრუბელი +7+12	მზე, ღრუბელი +11+17	მზე, ღრუბელი +11+19	წვიმა +8+17

ხდება თუ არა პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან დათხოვნა და გამგებლის თვალით დანახული ბიუჯეტი –„ბიუჯეტი არ არის საქველმოქმედო, ან საპენსიო ფონდი“

კანონია არასწორად მიღებული და დახვწას საჭიროებს. რაც შეეხება კონკურსის წესით დანიშვნას, აღნიშნა, რომ ეს აუცილებელია, და კიდეც გაკეთდება, მაგრამ ამის დალოდება საქმის კეთებაში შეუშლის ხელს. ის გამგებლები, რომლებიც საქმეს არ აკეთებენ, უნდა წავიდნენ სახლში, დანარჩენებს კი მიეცემათ სამთვიანი გამოსაცდელი ვადა და თუ ისინი ხალხისთვის მისაღებნი იქნებიან, კონკურსშიც მიიღებენ მონაწილეობას. გამგებელთაგან რომელი შეიძლება ჩაითვალოს ხალხისთვის მისაღებ პიროვნებად, ამ შერჩევისას მან მისეულ ერთ-ერთ მეთოდად ხალხთან შეხვედრები და გამოკითხვები დაასახელა, რაშიც ოპონენტთა ნაწილი არ დაეთანხმა. მაგალითისთვის შარაშენიძემ სოფ. ოზურგეთის გამგებელი დაასახელა, რომელიც მისი თქმით, სამსახურში არ დადის და არც არაფერს აკეთებს.

კოტე შარაშენიძემ ისაუბრა ა(ა) იპი-ებიდან ადამიანთა გათავისუფლების ფაქტებზე: – სამსახურებიდან მიდიან ისინი, რომლებიც არაფერს აკეთებენ. პირადად ვიყავი ამ ორგანიზაციებში, კომუნალურ სამსახურში გარდა გარე განათების განყოფილებისა ბევრი არაფერს აკეთებს. ერთ ოთახში თავმოყრილია ოცი ქალი, არანაირი საქმე არ აქვთ და თბებიან ღუმელთან. ვიცი ადამიანებს ოჯახები ჰყავთ, მაგრამ ბიუჯეტი არ არის საქველმოქმედო, ან საპენსიო ფონდი, რომელიც ასაკს ქვემოთ სწევს და პენსიასავით ღებულობენ ადამიანები ფულს.

რწმუნებულის მოადგილე **პაატა მანჯგალაძემ,** გუბერნატორის ინსტიტუტსა და ფუნქციებზე გაამახვილა ყურადღება. შემდეგ კი თვითმმართველობის მუშაობით ადამიანთა უკმაყოფილებაზე ისაუბრა და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს შეახსენა, რომ გამგებელმა ადამიანები სამსახურებიდან უნდა გაათავისუფლოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონით. ანუ პირადი განცხადების საფუძველზე, ან თანამდებობისთვის შეუფერებლობის და კანონდარღვევების გამო. თუმცა იქვე გამოთქვა ეჭვი, წერენ თუ არა განცხადებას საკუთარი ნებით: მე ვისმენ, რომ ადამიანები საკუთარი ნებით არ წერენ განცხადებას, რადგან ბევრს სესხი, ან ვალი აქვს აღებული.

მანჯგალაძის გამოსვლას შარაშენიძის რეპლიკა მოჰყვა, ჩვენთანაც მოდის ხმები, თავს მოვიკლავ, თავვის წამალს დავლევ. მაგრამ როცა ადამიანი საქმეს არ აკეთებს, ის სამსახურში ვერ დარჩება.

მეორე რეპლიკამ დარბაზიდან არ დაყოვნა: სხვებს რომ უშვებდნენ სახლში, მაშინ არ ფიქრობდნენ თავვის წამალზე?

ირაკლი პაპავამ საკონკურსო კომისიის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა, აღნიშნა როგორ უნდა ხდებოდეს ადამიანთა გათავისუფლება და დანიშვნა კანონის შესაბამისად: საჯარო მოხელეებს თანამდებობაზე ან ირჩევენ, ან ნიშნავენ. დანიშვნა უნდა ხდებოდეს კონკურსის წესით. ატესტაცია უნდა ტარდებოდეს ყოველ სამ წელში ერთხელ. საკრებულოს წევრებს ატესტაცია არ ეხებათ, რადან ისინი არჩეულნი არიან.

ოთარ რევაშვილის კითხვა ულტიმატუმის ვადას ეხებოდა, რომელიც მისი თქმით. შოთა გოგიბერიძემ შარაშენიძეს წაუყენა სამსახურებიდან ნაციონალთა გათავისუფლებისა და ოცნების აქტივისტების დანიშვნის მოთხოვნით. კითხვის ადრესატის პასუხის მიხედვით, არანაირი ულტიმატუმი არ წაუყენებიათ მისთვის, ეს არის გოგიბერიძის მოსაზრება და მას ამის უფლება აქვს.. რაც შეეხება გათავისუფლებას, შარაშენიძის თქმით, ის თითოეულ მის ქმედებაზე აგებს პასუხს.

საიას ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის **თამაზ ტრაპაიძის** თქმით, სამსახურებიდან მოხელეთა გათავისუფლება არ არის პრობლემა, მთავარია სამართლებრივად სწორად იყოს ეს გაკეთებული. კანონდარღვევის შემთხვევაში ისინი მზად არიან დაეხმარონ ადამიანებს: – თუ კანონდარღვევით მოხდება ადამინთა გათავისუფლება, ვურჩევ მათ იჩივლონ. ამაში მათ დავეხმარებით.

ნუგზარ ასათიანის კითხვას, ხდებოდა თუ არა ადამიანთა გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით წინა წლებში, დანიშვნა კი სწორედ ნათესაური, კლანიური მიმართებით, პირველ კითხვაზე ნაციონალთა წარმომადგენლების პასუხი იყო – არ ხდებოდა.(?!) **ლელა ნაცვალაძემ** მათ ოზურგეთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ცერცვაძის მაგალითი შეახსენა. კოტე შარაშენიძის პასუხით კი, არ იგეგმება გათავისუფლება, თუ ადამიანები პროფესიონალები არიან, დანარჩენები აუცილებლად წავლენ სახლში.

საკრებულოს დეპუტატმა **კახა ღლონტმა** ა(ა)იპი-ების სოკოებივით მომრავლებაზე ისაუბრა და ლევან ხინთიბიძის რეპლიკა დაიმოწმა და დასვა შეკითხვა, აქვთ თუ არა ამ ორგანიზაციებს დამატებითი თანხები მოძიებული, გარდა ბიუჯეტით გათვალისწინებულისა:– ყველამ კარგად იცით, რომ ეს ორგანიზაციები იქმნებოდა ორი, სამი ადამიანისთვის, და შემდგომ იბერებოდა შტატები და ვღებულობდით ოკაკიან სამსახურს.

კამათი მოჰყვა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე საუბარს. დარბაზის წევრთა უმრავლესობის აზრით, ეს იყო დანაშაული სოფლის წინაშე. **ზაზა ცინცაძე:** – სამი სტადიონი გაგვიკეთეს შემოქმედში, როცა ხალხს სხვა პროექტები უნდოდა.

ბოხვაურის ყოფილი გამგებლის ნანა ბერიშვილის გამოსვლა, პაატა მანჯგალაძის წინაშე დასმული კითხვა გახლდათ, რომელსაც კითხვის დასმამდე კანონის წაკითხვა მოუწონა, – კარგია, რომ კანონი წაგიკითხავთ, მაგრამ, როგორ უყურებდით იმ რწმუნებულების გათავისუფლებას, რომელიც თქვენგან მოდიოდა. მე პირადად ვარ ის ადამიანი, რომელზედაც მიმდინარეობდა საშინელი ზეწოლა. დილის ათი საათიდან ჩამიყვანეს გამგეობაში ილია ვაშაყმაძესთან, ღამის თორმეტ საათამდე მაიძულებდნენ დამეწერა განცხადება და მე ეს დავწერე.

დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ ა(ა)იპი- ების საარჩევნო დანიშნულება ახსნა და შარაშენიძეს ურჩია, ნუ იქნება ტანდემში იმ საკრებულოსთან, რომელმაც სხვა დარღვევებთან ერთად შექმნა ეს ორგანიზაციები.

მამია ბარამიძის თქმით, მართალია ყველაფერი მასაც არ მოსწონდა ნაციონალური ხელისუფლებისა, მაგრამ არ შეიძლება ან ყველაფერი, ან არაფერი. მისი თქმითვე არის საშიშროება, რომ ყველა სტრუქტურაში ქართული ოცნება იყოს წარმოდგენილი. ლელა ნაცვალაძის რეპლიკა: რა საშიშროებაზე საუბრობ, სადაც გაიხედავ, ყველგან ნაციონალები არიან სამსახურებსა და თანამდებობებზე.

დიმიტრი კვირღელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:– აქ საუბარი იქეთკენ მიჰყავთ, რომ თითქოს ნაციონალთა დევნა ხდება. ვინც სამსახურიდან მიდის, არა იმიტომ, რომ ნაციონალები არიან, არამედ იმიტომ, რომ არაპროფესიონალები არიან. ჩვენ არ გვყავს რეალური თვითმმართველობა, ასეთი შედეგი ნაციონალებმა დადეს. საკრებულო იმართებოდა გუბერნიიდან.

მერაბ ზაქარიაძე: – რა მნიშვნელობა აქვს ამდენ საუბარს, მთავარია ქვეყანაზე შეგტკიოდეთ გული. ვინ დაინტერესდა რა ხდება ოზურგეთის მანქანათმშენებელ ქარხანაში, როგორ გაიყიდა და განადგურდა.

ლევან ხინთიბიძე (სდგკ-ს ხელმძღვანელი): სდ– საზოგადოება არის პოლიტიზირებული, გურია განსაკუთრებით. კანონი უნდა სრულდებოდეს, მათ შორის მოხელეთა დანიშვნის დროს. სასამართლო უნდა იყოს სამართლიანი. სამწუხაროდ ადამიანთა დასაქმების ერთად-ერთ წყაროდ იქცა სახელმწიფო სტრუქტურები. ადამიანთა დასაქმება უნდა ხდებოდეს კერძო სტრუქტურებში.

„ჩვენი კოალიცია არავის არ ებრძვის

მარი კოძოევი

„ალიონის" დღევანდელი ნომრის სტუმარია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი კოტე შარაშენიძე. გამგებელს რამდენიმე აქტუალურ საკითხზე ვესაუბრეთ.

თავდაპირველად ბ-ნ კოტეს საკუთარი აზრის დაფიქსირება ვთხოვეთ პრეზიდენტის პარლამენტში არშემდგარ მოხსენებასთან დაკავშირებით

– წესით სტატუსიდან გამომდინარე პრეზიდენტს უნდა მიეცეს საშუალება წარმდგეს პარლამენტის წინაშე, მაგრამ არა მიშა სააკაშვილს. საერთოდ ქვეყანაში ვკანსაღი პოლემიკა, პოზიცია ოპოზიციას შორის განსხვავებული აზრების არსებობა ნორმალურია, მაგრამ ამ ადამიანს არანაირი მორალური უფლება არ აქვს კიდევ ერთხელ მიმართოს საზოგადოებას, ისევ ტყუილებით. ჩემი აზრით, ამ პიროვნებას არ აქვს მორალური უფლება ხალხს ელაპარაკოს. სწორედ ამას მოყვა ხალხის მხრიდან შესაბამისი რეაქცია.

გამგებელს ბოლო დროს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხთან, სოფლის რწმუნებულების გათავისუფლებასთან დაკავშირებითაც დავუსვით კითხვა.

– ამ დროისთვის გათავისუფლებულია დაბა ნასაკირალის, დაბა ურეკის, დვაბზუს, ვაკეკვერის, მაკვანეთის და ნაგომრის რწუნებულები. ცხემლისხიდის რწმუნებულთან მქონდა საუბარი და თუ გამოასწორებს თავის ნამოქმედარებს, შეიძლება დარჩეს. პოლიტიკური ნიშნით ნამდვილად არ ვაპირებ ადამიანების დევნას. ეს არის მიუღებელი ჩემთვის. ვიმოქმედებ საქმის საჭიროებიდან გამომდინარე. <u>ჩვენი კოალიცია არავის არ ებრძვის თუკი ადამიანებს აქვთ საქმის კეთების სურვილი და შესაძლებლობა თუ აკმაყოფილებს საჭირო კრიტერიუმებს. ჩემი სურვილია ვინც შეცვლის იყოს უკეთესი იმაზე ვინც შეცვალა. რწმუნებულები ინიშნებიან სამთვიანი საგამოცდო ვადით.</u> ამ სამი თვის განმავლობაში გამოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო" და ვნახოთ მიეცემათ თავის გამოჩენის შენსი, იმათაც, ვინც ახლა ინიშნება და ძველ კადრებსაც. უმრავლესობა რჩება თავის პოზიციაზე. 28 თემიდან ვკერ 8 სოფელშია ცვლილება.

– აიპებთან დაკავშირებით გკითხავთ. რამდენი აიპის ლიკვიდაცია იგეგმება და რომელი აიპები გაერთიანდებიან?

–ამ ეტაპზე მოხდება დაახლოებით 4-5 აიპ-ის ლიკვიდაცია. გაერთიანება უნდა მოხდეს კომუნალური მომსახურების ცენტრისა და დასუფთავების სამსახურის. არის კიდევ რაღაცეები რასაც ჭირდება კორექცია, ოპტიმიზაცია. საჭიროა საშტატო ერთეულები შესწავლა. ამ ყველაფერს დრო სჭირდება. იმ ადამიანებს, რომლებსაც შეიძლება პრეტენზია გაუჩნდეთ და ბუნებრივია გაუჩნდებათ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ჩვენ არგუმენტირებულად უნდა გავცეთ პასუხი. უნდა ავუხსნათ, რომ რეალურად საქმეს არ აკეთებენ და თავის დროზე თითოეული მათგანი შეცდომაში შეიყვანეს. <u>ეს არის წინასაარჩევნოდ გაბერილი შტატების დამსახურება. წინასაარჩევნოდ მასიური სახე მიიღო ნაცნობობით, ხათრით დასაქმებამ. ბიუჯეტს უბრალოდ არ აქვს ამდენი შტატის რჩენის საშუალება. ბიუჯეტი არ არის საქველმოქმედო ან საპენსიო ფონდი ეს არის ხალხის მიერ შეკრებილი თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს საქმეს. საქმე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ხალხს უნდა ემსახურებოდეს. არა ისე, როგორც ხდებოდა დათვური სამსახურით.</u>

– საუბარია იმაზე, რომ აპირებთ თქვენი მოადგილეების ლადო ქვილორიასა და ლაშა ღლონტის გათავისუფლებას. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს?

– ნელ-ნელა ვაპირებ მოლიანად გამგეობის რეორგანიზაციას. ლადოს აქვს თავისი ნამოღვაწარი ოზურგეთში. ლაშასაც თავისი კუთხით, მაგრამ ცვლილებები აუცილებელია. ცვლილებებს ელოდება საზოგადოება. არა მარტო საკადრო ცვლილებებს. კადრებმა უნდა შეძლონ საქმის კეთება უფრო ეფექტურად და მობილიზებულად ახალი ხედვებით, შემართებით ისეთი შემართებით, როგორითაც მოვიდა ახალი ხელისუფლება. გვჭირდება საქმის მკეთებელი ხალხი. ვინ დაიკავებს ჩემი მოადგილეების პოსტებს ვკერ არ ვიცი. მსჯელობის და შეფერების პროცესი მიდის კოალიციაში. ბუნებრივია, არის აზრთა სხვაობა. ეს საკითხი საბოლოოდ მაინც ჩემი გადასაწყვეტია, რა თქმა უნდა, შეთანხმების საფუძველზე.

– საკრებულოს რამდენიმე დეპუტატი ითხოვს ალეკო მამეშვილის გადადგომას. რამდენად საჭიროდ და რეალურად მიგაჩნიათ ეს მოთხოვნა?

–ნაცვალაძეს და კვირღელიძეს რა თქმა უნდა სურთ მამეშვილის გადადგომა, იმიტომ, რომ ისინი არიან საკრებულოს წევრები და ცვლილებიდან გამომდინარე აქვთ შანსი რაღაც პოზიციები დაიკავონ საკრებულოში. უნდათ საკრებულოს თავმჯდომარეობა, მაგრამ ასე ყველას ყველაფერი უნდა.

–შეიქმნა ახალი სამსახური, რომელიც განახორციელებს ბიუჯეტის მონიტორინგს. რატომ გაჩნდა ამის საჭიროება?

–ამის საჭიროება იქიდან გამომდინარე დავინახეთ, რომ, როცა რაიონის რომელიმე დაწესებულება მოთხოვნას გააკეთებდა და გაიტანდა ერთი თვის ხარჯს არანაირი მექანიზმი არ არსებობდა იმისა, რომ ხარჯვითი ნაწილი თვითონ მუნიციპალიტეტს შეემოწმებინა. ჩვენ, მუნიციპალიტეტს, როცა ჩვენი ფულით მიდის საქმის კეთება, ბუნებრივია უნდა შეგვეძლოს თანხის კონტროლი. აქამდე მუნიციპალიტეტის დონეზე არ ხდებოდა თანხების მონიტორინგი ხარჯვით ნაწილში. აქედან გამომდინარე მე როგორც ეკონომისტმა, მენეჯერმა, ჩავთვალე საჭიროდ გამეკეთებინა შეთავაზება საკრებულოსათვის აღნიშნული სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით.

–თქვენ ხშირად გადიხართ სოფლებში და ხვდებით ადგილობრივ მოსახლეობას. რომელია ის პრობლემა, რომელსაც ყველაზე ხშირად უჩივიან ოზურგეთელები?

–მძიმე სოციალური ფონი. ყოველ ორშაბათს მოქალაქეები მოდიან ჩემთან მიღებაზე სხვადასხვა თხოვნით. მათგან 80% აქვს ვკანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. მე ვიცი, რომ ხელისუფლება უახლოეს პერიოდში აამოქმედებს დაპირებულ პროგრამას, რომელსაც წარმოუდგენდა ამომრჩეველს წინასაარჩევნოდ. ვკანდაცვის კონცეფცია შემუშავებულია. არის სერიოზული ფონდი, რომელიც შეძლებს ამ ყველაფრის მოგვარებას. პირველ ეტაპი სავარაუდოდ დაიწყება მარტის ბოლოს, ეს იქნება საყოველთაო დაზღვევა და სხვა საკითხები.

–გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელში ჩაგივარდათ სიები, რომელშიც იყო ინფორმაცია წინასაარჩევნოდ ნაციონალების მიერ გაცემული ქრთამების შესახებ და თქვენ ეს სია გაანადგურეთ

– ეს არის სასაცილო.

– ამაზე საუბრობს თქვენი თანაგუნდელი.

ადამიანები, რომლებიც ამაზე საუბრობენ ჩემი თანაგუნდელები არ არიან. არცერთი ადამიანი, ვინც დღეს რაღაც განცხადებებს აკეთებენ, ჩვენი გუნდის წევრი არასდროს ყოფილან. მე გახლდით „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს გუნდში გიორგაძე, მელუა და ნაცვალაძე არ ყოფილა. შეიძლება მათ უნდოდათ ეს, მაგრამ ჩემთვის იყვნენ მიუღებლები. შესაბამისად რადგან ვერ შეწვდნენ პოზიციებს და არ გავიდა მათი ეშმაკობები ახლა აქვთ რეაქცია. ამიტომ მიდიან ცილისწამებებზე და გამოგონებებზე.

ორსახოვანი შეხვედრა ერთ სამსახურში

ნინო ნიკოლაიშვილი

რედაქციაში გულნატკენი მოქალაქე მოვიდა,— მე ჩემი გასაჭირი მეყოფა, სხვების დაცინვა რაღად მინდა. ჩავეკითხეთ, მოეყოლა რა შეემთხვა. შ. დ. ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ, დახმარების შუამდგომლობისთვის ქალაქის მერიას მივმართე. ყურადღებით და თბილად მიმიღეს (ამ ფაქტს თავად ვესწრებოდი. ავტ.)ისედაც ავადმყოფს საბუთებისთვის რამდენიმეჯერ დამჭირდა მისვლა ხან საავადმყოფოში, ხან სოციალურ სამსახურში.. მოგეხსენებათ ყველგან რიგებია, რაც კიდევ უფრო უძნელებს ავადმყოფ ადამიანს მდგომარეობას. როცა საბუთები მოვაგროვე და მერიის სამსახურში მივიტანე, რატომ ჩაგვაგდეს ამ დღეში მეთქი, ამ გაჭირვების გამო გამოვთქვი საყვედური. ოთახში მჯდომმა ახალგაზრდა მამაკაცმა სათვალეებიდან ამომხედა და დაცინვით მითხრა — რა, არ მოგწონთ სააკაშვილი? რაც დაგეხმარათ, ისიც არ გეკუთვნოდა. — თქვენ რა იცით მე რა მეკუთვნოდა და რით დამეხმარნენ, ნამდვილად მაქვს იმედი ივანიშვილის, რომ ჩვენისთანა ხალხს მოგვხედავს მეთქი. გაბრაზებულმა შევეპასუხე. ამ დროს ოთახში ახალგაზრდა გოგო შემოვიდა. წუთიერად შეჩერდა, დაცინვით შემომხედა: ხო, ხო, გქონდეთ იმედი, ნახავთ რას გაგიკეთებენ, მითხრა და მეორე სამუშაო ოთახში შევიდა.

აღნიშნულ სამსახურს მივმართეთ კითხვით, მაშინ, როდესაც თანამშრომელთა ერთი ნაწილი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას და ეს მისი ვალდებულებაცაა, რატომ იქცევა საწინააღმდეგოდ სხვა?

ქალბატონმა ვერ ამოიცნო, რომელი მამაკაცი იყო ცინიზმის ავტორი, რაც შეეხება მეორეს, ერთ-ერთ ახალგაზრდას მიუბრუნდა და თქვა, ასეთი აღნაგობის კი იყო, მაგრამ სახეზე შეხედვა ვეღარ მოვასწარიო.

წუხილი გამოხატეს სამსახურში და გვითხრეს მსგავსი ფაქტი ჩვენთან არ მომხდარა, ჩვენ არაფერი ვიცითო(?!) ქალბატონის დაჟინებული საუბრის შემდეგ, შესაძლოა ვინმე მოქალაქემ გითხრათ, ჩვენთან ხომ უამრავი ადამიანი დადის, ზოგს რა სჭირდება და ზოგს რაო,— აღნიშნეს.

გასაგებია, კონკრეტული პიროვნებები თუ მართლაც თანამშრომლები იყვნენ არ დაასახელეს სამსახურში, მაგრამ გაუგებარია ურთიერგამომრიცხავი მოსაზრებები: პირველი, როცა ამბობენ, რომ არაფერი მომხდარა და შესაბამისად არაფერი იციან, მეორე, შესაძლოა ადრესატები ჩვეულებრივი მოქალაქეები იყვნენ. ასეც რომ ყოფილიყო, მათ ხომ უნდა გაეგონათ ეს. ადამიანები შენს გვერდით კამათობენ, შენ არაფერი გესმის, არაფერს ხედავ. ერთი მეორეს არ იმეტებს, მეორე ფიქრობს პირველზე? მაშინ როცა ყველა ერთიანად წუხს მომხდარი ფაქტის გამო. შესაძლოა ვიღაცამ დააშავა და მთელი სამსახური გაილანძღებაო...

შეხვედრა მრგვალი მაგიდის გარშემო

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში კიდევ ერთხელ გაიმართა მრგვალი მაგიდის შეხვედრა პროექის ფარგლებში: „გზავნილი თვითმმართველობას“ და „ერთად ადვოკატირებისთვის“. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციები: „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“ და გურიის მედიატორთა ასოციაცია.

პროექტის მხარდამჭერია ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“. მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ადვოკატირება, მათი ჩართვა პრობლემის იდენტიფიკაციისა და გადაწყვეტის პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით.

შეხვედრას ესწრებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშენიძე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტის ხელმძღვანელის ქეთევან ხიდაშელის თქმით, კარგ შედეგს გამოიღებს ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების არაფორმალური ქსელის შექმნა და ადვოკატირების პროცესში მათი მონაწილეობა. ასევე მიმართა ხელისუფლების წარმომადგენელს:— არ მინდა ჩვენი მუშაობა აღქმული იყოს ისე, თითქოს ჩასაფრებულები ვიყოთ. ჩვენს მიერ შექმნილი ეს ვებ-გვერდი კარგი რესურსი იქნება ხელისუფლებისთვის, რომ უკეთ იცნობდეს იმ პრობლემებს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება და საზოგადოებისთვისაც იქნება ცნობილი, რა პრობლემები მოგვარდა ხელისუფლების მიერ.

— ეს თანამშრომლობა, ვფიქრობ, კარგ შედეგს გამოიღებს და კარგი ბერკეტი იქნება პრობლემების გადასაჭერლად — აღნიშნა **კოტე შარაშენიძემ.**

სოფლის არასამთავრობო ორგანიზაციას უცხოელი მოხალისეები ეწვევიან

წარმატებით მუშაობს სოფ. დვაბზუში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის.“ იგი ერთადერთი აკრედიტებული სოფლის არასამთავრობო ორგანიზაციაა მთელს კავკასიაში. ისინი წარმატებით ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი ევროპის მოხალისეობის სერვისის კოორდინატორს (**evs**) თომას შოპას შეხვდა და ევროპელი მოხალისეების სოფ. დვაბზუში ჩამოსვლაზე ისაუბრეს. თებერვლის ბოლოს ორგანიზაციას ევს-ში მომუშავე 22 ორგანიზაციის წარმომადგენელი ეწვევა, რომელთა ვიზიტის შემდეგ მოხალისეების ჩამოსვლა იგეგმება სოფ. დვაბზუში.

შპს „მთისპირი 2010“ ბენტონიტურ თიხებს იტალიაში აგზავნის

ნუგზარ ასათიანი

შპს "მთისპირი 2010"-ის მიერ მოპოვებული ბენტონიტური თიხებით იატალიელები დაინტერესდნენ და პირველი კონტრაქტი გააფორმეს ქართველ სამთო გადამამუშავებლებთან. როგორც "მთისპირი 2010"-ის გენერალურმა დირექტორმა დავით შარაშიძემ გვითხრა, იტალიელები ამ ეტაპზე 3000 ტონა თიხას წაიღებენ. თიხის აღნიშნული პარტია უკვე ფოთის საზღვაო პორტის ტერმინალშია დასაწყობებული და უახლოეს დღეებში გემით წაიღებენ იტალიაში.

დავით შარაშიძის თქმით, საწარმოში ამჟამად 78 ადამიანია დასაქმებული და მომავალში მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც სოფელ მთისპირში მიმდინარე მიგრაციის პროცესებს შეაჩერებს.

8 თებერვალს საწარმოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშიძე ესტუმრა და "მთისპირი 2010"-ის ხელმძღვანელებთან საწარმოს განვითარების საკითხებზე ისაუბრეს.

გინესის რეკორდის კანდიდატი

კითხვის სიყვარულიდან კოლექციონერობამდე

ნინო ნიკოლაიშვილი

ჩვეულებრივ ოჯახში დაიბადა. უყვარდა კითხვა, აინტერესებდა, რა ხდებოდა მის სოფელში, ქალაქში, ქვეყანაში, ქვეყნის გარეთ. ყიდულობდა შესაბამის ჟურნალ-გაზეთებს,მერე ეს ჩვევად გადაექცა. – რომ წავიკითხავდი, გადასაყრელად, ან გასაცემად ველარ ვიმეტებდიო – ამბობს კოლექციონერი სოსო (სიმონ) გირკელიძე და მისივე ხელით მოწყობილ ოთახში გვეპატიჟება, იქ, სადაც მოცალეობის ჟამს შედის ხოლმე, ჩაუჯდება თავის კოლექციას, სიყვარულით ფურცლავს უკვე დროჟამისგან გაყვითლებულ პრესას. იქ, სადაც გვხვდება 1908 წელს გამოცემული სბავშვო ჟურნალი „ნაკადული“,1928 წლის ჟურნალი, 1931 წლის „კომუნისტი“.

ამათგან რამდენიმე ბებიის ოლია გირკელიძის არქივიდან შემორჩა, რომლის უმეტეს ნაწილს სამწუხაროდ მასთან ალარ მიუღწევია. კითხვა ყვარებია მამას ლერი გირკელიძეს. ის უფრო მეტად სასოფლო-სამეურნეო საკითხებით ყოფილა დაინტერესებული. მის მიერ შეძენილი ჟურნალ-გაზეთებიც საკმაოდ ინახება სოსოს კოლექციაში.

მაგრამ სოსო გირკელიძე ამ საკითხით 1992 წლიდან მეტად დაინტერესებულა და მეტი ინტერესით შესდგომია შემგროვებლობას. მის კოლექციაში თანდათან მატულობდა ადგილობრივი თუ სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები. ამ სურვილმა მიიყვანა გამომცემლობა „სამშობლოსთან“, მერე თანდათან გაუცნია ჯუმბერ ვაიშკარიანი, თემურ გორგაძე, ზაზა არაშიძე. თამაზ სალუქვაძე, ნუგზარ ასათიანი. რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო დაუახლოვდა პრესას. 1993 წელს შეხვედრია ახლა უკვე ცნობილ მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას, რომელთანაც მეგობრობს დღემდე. იმავე წლებში გამოქვეყნდა მისი პირველი წერილი რუბრიკაში - ეს საინტერესოა სათაურით „ღამის კოშმარი“.

გაზეთ „ალიონში“ რამდენჯერმე დაიბეჭდა სოსოს სტატისტიკური მასალები ფეხბურთის შესახებ. 1999 წელს იყო გაზეთ „ადვოკატ მეოხის“ სარედაქციო რედკოლეგიის წევრი. არის არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა გინესის კლუბის წევრი; ჯუმბერ ლეჟავას გაზეთ „მსოფლიო მოგზაურის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1996 წელში მის კოლექციაში შედიოდა 623 ჟურნალ-გაზეთი. მასზე არაერთი სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ალიონში,“ გაზეთი „მესტროში“; „ადვოკატ მეოხში“; „გურია ნიუსში“.

–„90-იან წლებში ერთ-ერთ რედაქტორთან მიმიწვიეს. იცოდა კოლექციონერი ვიყავი. რომ დამინახა, გაუკვირდა, მითხრა ასაკოვან კაცს ველოდი, ასეთ ახალგაზრდას ვერ წარმოვიდგენდიო. გასაუბრების შემდეგ მის ოთახში თაროზე შემოწყობილი გაზეთებისკენ გამექცა თვალი, რამდენიმე ცალი თავად გადმომიღო, თუ დანარჩენებსაც მოაყოლებთ, უფრო მადლიერი დაგრჩებით მეთქი, ვუთხარი,მივხვდი რამდენიმე გაზეთი მისთვისაც ღირებული იყო. მანც მაჩუქა.

1998 წელს მის კოლექციაში უკვე 1500 ჟურნალ-გაზეთი შედიოდა. აქვს გაზეთ „ლელოს“ 1200 და „სარბელის“ 800 ნომერი. ამჟამად მის კოლექციაში ინგლისურ, რუსულ, არაბულ, ჰინდის, ჩინურ, კორეულ თუ სხვა ენებზე გამოცემული არაერთი გაზეთია. სოსომ მალდივის კუნძულებზე გამოცემული გაზეთიც კი გვაჩვენა.

ღიმილით და სინანულით გაიხსენა ერთი ასეთი შემთხვევა: თურქეთში ვიმყოფებოდი. ჩემი ჯგუფის წევრები მაღაზიებში დადიოდნენ,მე გაზეთებს ვაგროვებდი. ერთი დიდი ჩანთა გავავსე ახალი თუ ძველი გაზეთებით,რომელთაგან ზოგი მაჩუქეს,ზოგიც შევიძინე. საზღვარზე ჩანთა მომპარეს. არც ქურდი დარჩა იღბლიანი იმ დღეს და არც მე. ადამიანებთან სახლში რომ შევდივარ, ჩემდაუნებურად ვათვალიერებ, ჟურნალ-გაზეთებს, ბევრისთვის უსარგებლო გამოცემა ჩემთვის საოცრად ღირებულია. ასე ვნახე 1908 წლის სბავშვო ჟურნალი.

გარდა ჟურნალ-გაზეთებისა, სოსო ნუმიზმატიკითაც არის გატაცებული. ის აგროვებს ფულის მონეტებს. აქ შეხვდებით 1896, 1908, 1916, 1924წლებში გამოშვებული წვრილი ფულის მონეტებს.

როცა კოლექცია მრავალფეროვანი გახდა, სოსომ მისწერა გინესის რეკორდების ორგანიზაციას, იყო თუ არა ამ თემაზე დაფიქსირებული რეკორდი. 1998 წელს ინგლისიდან მიიღო ეწერილი, სადაც მას მადლობას უხდიდნენ საინტერესო იდეისათვის. – **„ასეთ თემაზე არ გვიფიქრია და მადლობელი ვართ ამ იდეისთვის“**. წერილს ხელს აწერდა გინესის რეკორდების ორგანიზაციის მდივანი **ამანდა ბროკსი.**

ერთ-ერთი საყვარელი საქმე, რომლითაც ხშირად არის დაკავებული, საქართველოს და მსოფლიოს რუკებთან მუშაობაა. ცდილობს შვილიც დაინტერესოს ამით. პატარა ლევანიც უდგას გვერდით და მამა-შვილი ხშირად საუბრობენ ამ თემებზე. ლევანისთვის მამა ამ საკითხებში დიდი ავტორიტეტია.

ჯუმბერ ლეჟავას ხშირად ეკონტაქტება სოსო. ორჯერ ეწვია მსოფლიო მოგზაური მის ოჯახს. 2004 წელს სოსოს ინიციატივით, როცა მსოფლიო მოგზაური ამჯერად საქართველოში მოგზაურობდა,ოზურგეთში შეხვედრა მოუწყვეს, შემდეგ კი ფაცხებში გაუმასპინძლდნენ.

–ჩემს სოფელს ვალია გირკელიძეს ვთხოვე დახმარება. გვერდით დამიდგა. შემდეგ ჯუმბერ ლეჟავას შეხვდნენ ოზურგეთის იმჟამინდელი გამგებელი თამაზ სალუქვაძე, გუბერნატორის მოადგილე ნოდარ გაგუა, „შალომ კლუბ გურიას“ ხელმძღვანელი ზაურ ოსეფაიშვილი, ჟურნალისტები. კარგი შეხვედრა გამოვიდა–იხსენებს სოსო და სამახსოვრო ფოტოსაც გვაჩვენებს.

ჯუმბერ ლეჟავას სოსოსთან სტუმრობისასაც დავუკავშირდით.

– სოსო ჩემი მეგობარია. იგი ხშირად ჩამოდის ჩემთან. საერთო გეგმებიც გვაქვს. თუკი მისი გაზეთების გამოფენა

ჯუმბერ ლეჟავა ოზურგეთში, 2004 წ.

მოეწყობა, ყველანაირად გვერდით დავუდგები. ოზურგეთი მიყვარს და მეგობრებიც მყავს. იმედი მაქვს, სოსოს შრომა შედეგს გამოიღებს. – გვითხრა სატელეფონო საუბარში ჯუმბერ ლეჟავამ.

„არწივებმა“ ჩემპიონატი დაიწყო

ოზურგეთის „არწივების“ რამდენიმე მორაგბე საქართველოს სხვადასხვა კლუბებში გადავიდა. აქედან 4 მორაგბე–პატარძეულის „ვეფხვებში,“ ორი–თბილისის „ლოკომოტივში,“სამი სტუდენტი გახდა და ბათუმის „დელფინებში“ თამაშობს. ამის მიზეზი მორაგბეებზე ხელფასის გაუცემლობა იყო.

მიუხედავად შესუსტებული შემადგენლობისა, მაგრამ „გაახალგაზრდავებული“ გუნდით ოზურგეთის „არწივებმა“კარგად ჩაატარეს შეხვედრა საჩხერეში. მართალია თავდაპირველად „საჩხერე“დაწინაურდა 7:0, მაგრამ „არწივებმა“ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ საბოლოოდ დაჯაბნეს მეტოქე და 20:10 გაიმარჯვეს.

გასულ შაბათს კი მალთაყვაში (ფოთი) ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა შეკრება, სადაც რაგბის ფედერაციიდან იმყოფებოდნენ ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელები. სანაკრებო შეკრებაზე მონაწილეობდნენ ჭაბუკი მორაგბეები ბათუმიდან, ქობულეთიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან, ბაღდათიდან, ჭიათურიდან, საჩხერიდან, წყალტუბოდან და სენაკიდან.

ოზურგეთიდან 4 ჭაბუკი მორაგბე: შავლეგო ოქრუაძე, თენგიზ ქარჩხაძე, თენგიზ ტულუში და დავით დარჩია იყვნენ მიწვეულნი. ისინი საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრებში ჩაირიცხნენ და უახლოეს ხანში რაგბის აკადემიის ბაზაზე მიიწვევენ.

სასპორტო სკოლის პირველობაზე

ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრში ჩატარდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის, რომელშიც 70-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

42 კგ.

1.გიორგი კილაძე; 2. გიორგი ჩხაიძე; 3. სბა ხუჭუა, კახა ფუტკარაძე.

46 კგ.

1.შოთა ღლონტი; 2. ერეკლე ბაბილოძე; ირაკლი მკავანაძე, გურამ ხარაბაძე.

50 კგ.

1.დავით ჩხარტიშვილი; 2. ბექა კორძაძე; 3. სოსო ხიმერიკი, მიშიკო გაზაევი.

54 კგ.

1.იური ლომაძე; 2.გია გორგაძე; 3. გეგი ფილფანი, ლაშა ზაქარეიშვილი.

58 კგ.

1.გიორგი ბაკურაძე; 2.გიორგი გუჯაბიძე; 3. დავით ბაკურაძე, არჩილ დოლიძე.

63 კგ.

1.გუგა კვერღელიძე; 2. გიორგი ურუშაძე; 3. გოგა ლომჯარია.

69 კგ.

1.ბიჭიკო მამალაძე; 2. ლადო ქინქლაძე; 3.გიორგი მგელაძე, კახა კალანდაძე.

76 კგ.

1.ალექსი ლოდია; 2. თორნიკე თხილაიშვილი; 3.ედვარდ სოლომონიძე, გიორგი შუკაკიძე.

85 კგ.

1. ვასილ თავბერიძე; 2. ზურაბ ჯიშკარიანი.

100კგ.

1. ედვარდ ღლონტი.

გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და შესაბამისი სინჯის მედლებით. დაკომპლექტდა სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნისადმი მიზღვნილ საერთაშორისო ტურნირში და საქართველოს პირველობაზე.

აღნიშნული სპორტსმენების მწვრთნელებია: ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები; გურამ მაჭარაშვილი, თენგიზ მუჯირი,დავით მელუა,გურამ აბაშიძე,კახა აბაშიძე, ვაჟა შენგელია, ავთანდილ მარგალიტაძე, ანზორ ლომაძე.

ხსოვნა

იურის მეგობრებიდან



მოგვენატრე, მთვარეს ეკითხეთ,
გთხოვ გვითხარი ის სად არის?
მან კი გვითხრა –არ ჩანს მაგრამ
-გულით მუდამ თქვენთან არის.

ბაბუ – ჩვენო კეთილო მეგობარო. სულის მალამო იყავი ჩვენთვის. შენნაირები არ იბადებიან, ისინი იშვიათები არიან. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, გვეცხოვრა და გვყვარებოდა ასეთი ადამიანი, რომელიც გვასწავლიდა სიკეთეს, სიყვარულს, სიბრალურს და თავმდაბლობას.

მთელი ცხოვრება უპრეტენზიო კაცი იყავი. არასდროს გქონია პრეტენზია ვინმეს მიმართ. მაგრამ შენი ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ ყველა მიხვდა, რა ბუმბერაზი ადამიანი ყოფილხარ: ნიჭიერი და ყველას მოსიყვარულე.

უკვე მეორედ აღვნიშნეთ შენი დაბადების დღე. ძალიან გვიჭირს უშენობა. ოზურგეთის ქუჩებს ძალიან აკლიხარ ჩვენო ძვირფასო მეგობარო.

ნათელი არ მიკლებოდეს შენს სულს. ჩვენ აქედან ვილოცებთ ყოველთვის შენთვის.

შენი მეგობრები.

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ნათელა და ნანული შაინიძეებს მეუღლის და სიძის **ბადრი ლომინეიშვილის** გარდაცვალების გამო.

მოსწავლეთა საჭადრაკო ტურნირი

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა შიგა საკლუბო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 10 წლამდე ასაკის 8 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მონაწილეთა უმეტესობა პირველად ჩაერთვნენ ოფიციალურ ღონისძიებებში. ამიტომ უფრო მეტი ინტერესი საჭადრაკო ასპარეზობაში მათი უნარ-ჩვევების გამოვლენა იყო, ვიდრე შედეგები. თუმცა პატარა მოჭადრაკეებმა ორ კომპონენტში ისახელეს თავი. მათ გაამართლეს არა მარტო სპორტული ეთიკისა და უნარჩვევების გამოვლენაში, არამედ ხარისხიანი სათამაშო კლასიც აჩვენეს.

შეჯიბრება, რომელიც წრიული სისტემით გაიმართა, საინტერესო გამოდგა. პირველი სამეულის გამოვლენა მხოლოდ ბოლო ტურში გადაწყდა.

7 შესაძლებლობიდან 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა №4 საჯარო სკოლის მოსწავლე ლუკა ღლონტმა; მას ერთი ქულით ჩამორჩა კახა სიამაშვილი (№3 საჯარო სკოლა); მესამე ადგილი თანაბარი ქულებით გაიყვეს №4 და №2 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ლაზარე შანიძემ და ლუკა კულჩინსკიმ. მე-5 საპატიო ადგილი 4 ქულით ვოვა პოღოსიანმა დაიკავა; დათა სალუქვაძემ 3 ქულა დააგროვა. შეჯიბრების ყველაზე პატარა მონაწილე მარი ღლონტი იყო, რომელმაც მიუხედავად კარგი თამაშისა მხოლოდ ერთი ქულა დააგროვა.

ტურნირს პატარა მოჭადრაკეების მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე სჯიდა.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე